# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 620

დამატების № 111

კვირა, 10 ივლისი 1916 წ.



მეფუტკრეობის კურსები სამღვდელოებისა და სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის.

## ღამის სულები

მთვარე ღრუბლებში ფერმილეული.
ღამის სულები ცეკვავენ ჯარად,
ტბასთან კოშკი აქვთ თავშესაფარად,
მკრთალი ვერხვებით შემოხვეული...

დუმილი გრძნეულთ ამურავს შვებას,
ლალნი სხივთ ლივლივს ენაზებიან:
ხან ილევებენ, ხანა ჰკრთებიან—
ველიც მათ უმღერს ქებათა-ქებას...

ტურფანი კიდეც მღერიან ტკბილად,
თმებ გაშლილები, ტან-მკერდ ღიანი;
ჩვილი ლერწამიც ჯადოსნიანი
ზღაპრებს უამბობთ ქალწულებს ფრთხილად...

მუდამ აქვთ ლხინი დაუსრულები
ღამის დედოფლებს, ამ პირ შავებსა—
მხოლოდ საღუთებს უხილავებსა
ცისკრის ციმციმის აშინებს ხმები...

კიკნა-ფშაველი.

## გულის მიება

**(ნაწყვეტები ემიგრანტის დღიურიდან)**

კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს უნდა პოვნა
მაშინ მისგან აღარა ჰხმას, გარდასულთა ჭირთა ხსოვნა.

**შოთა რუსთაველი.**

(შემდეგი *)

— სახლშია, იადვიგა? შევეკითხე.

— სახლში გახლავთ. მიპასუხა. იადვიგას ოთახიდან ფაცა-ფუცი და ჩურჩული შემომესმა. მის კარებს მივუახლოვდი და დავაკაკუნე. მერე თითქო შემომესმა „შემოდით“ და კარი შევაღე... ბნელი ოთახი... გავშტერდი, დავიბენი... მეგონა უცბად სადღაც მოვხვდი, უცხო სახლში... შემეშინდა... პატარა ხანს ქანდაკებასავით ვიდექი... მერე თან და თან გავარჩიე ნაცნობი მაგიდა, კედლის სურათები...

— ვინა ხართ? შემომესმა ლოგინიდან იადვიგას ხმა.

— მე ვარ იადვიგა, მე! ვუპასუხე გახარებულმა. ერთი ნაბიჯი წინ წავდგი.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 110.



მექსიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი კარანცა.
(ამერიკა მექსიკის კონფლიქტის გამო).



მექსიკელი ვოლონტერი.

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..

ს. ფაშალიშვილი.



**ქუთაისის ქართული გიმნაზიის ექსკურსია**
ალავერდის მონასტერში.



**პრაპ. თავ. დავით დადიანი**
(დაჭრილია).

— უკაცრავად, ვერ მიგიღებთ! დაღლილი ვარ და მეძინება!... ათრთოლებული ხმით მეუბნებოდა იადვიგა. ყოველი სიტყვის შემდეგ ჩაახველებდა, თითქო ყელში რამე უშლიდესო... შევჩერდი... იადვიგას უარი, აბურცული ლოგინიდან ჩემი თვალები იქვე მდგომ სავარძელზე შეჩერდნენ და შევამჩნიე უწესრიგოდ ზედ მიყრილი ტანისამოსი... ყელში სისხლი მომაწვა, თითქო მინდოდა დამეყვირა, მაგრამ ხმა არ მქონდა... ინსტიქტიურად უკან გამოვტრიალდი, რაღაც წავილუღლუღე და კიბეზე ჩამოვეშვი...

მერე აღარ მახსოვს რამდენ ხანს დავეხეტებოდი ქუჩებზე. გაბრუებული ვიყავი... უცებ, თითქო ხელი მკრა ვინმემო, ისევ იადვიგას ქუჩისკენ გავეშურე და მის ფანჯარას შევხედე... გაშტერებით ვაცქერდებოდი... ბნელი იყო... „მოვიცდი!“ გავიფიქრე გულში.

ნელ-ნელა დავლასლასებდი კედლის პირად და იადვიგას ფანჯარას შევსცქეროდი... ჩემს გვერდით ხალხი მიდი-მოდიოდა. მაღაზიების ფანჯრები ჯერ კიდევ გაშუქებულნი იყვნენ.. ქუჩის სიგრძე, ზოგგან გაჩირაღდნებული იყო, ზოგგან ბნელი... გაისრიალებდა ხოლმე ავტომობილი, დაჭრილი მხეცივით დაიღრიალებდა და მეორე ქუჩაზე ამოჰყოფდა თავს... მერე ტრამვაი გაიგრუხუნებდა, დაიწრიპინებდა და გრიალით გაჰყვებოდა შუა გულ ქუჩის თავზე გაბმულ მავთულს...

დრო როგორ გავიდა, ვერ ვამჩნევდი... თავში ათასნაირი ფიქრი ტრიალებდა... ...მაშ, ეს ყოფილა, იადვიგა?.. აა!.. თუ?.. არა, არა!.. ვნახოთ, კარგი ვნახოთ!.. შეუძლებელია!.. მერე ვინ იყო?.. ალექსი?.. აა!.. და წმუოდა ჩემი გული. საშინელ ტკივილებს მაგრძნობინებდა. .

უცბად განათდა იადვიგას ფანჯარა... ჩემმა აღელვებამ იმატა... გული თითქო გადმოვარდნას აპირობსო, ძლიერად იწყო ტუკვა... ჩემი გულისყური იადვიგას შესავალ კარებისკენ იყო მიქცეული... ქუჩის მეორე მხარეს გადაველი და იქიდან ვუცქერდი... შესავალ კარების ადგილი ბნელი იყო, ვამჩნევდი ორს ქვის საფეხურს და კარის ვერცხლისფერ ხელის მოსაკიდს... პატარა ხნის შემდეგ კარი გაიღო და ქვეითა მხრისკენ დაეშვა ლანდი... დავაკვირდი... მაშინვე ვიცანი... მისი ქუდი, მისი სიარული... ალექსი იყო!.. ის იყო, ის!..

...სახლში დავბრუნდი.

გული მეკუმშება და უმწეობას ვგრძნობ, მინდა თითქო ვიტირო და წყვდიად მოცულ სივრცეში ვინმე მოვნახო, რომ შევევედრო დამიფაროს, ნუგეში მცეს, გული დამიამოს..- აღარაფერი არ დამრჩა, სრულებით არაფერი... მინდა თვალი გადავავლო ჩემს წარსულს.. ისიც იმნაირადვე მოწყენილი და სევდიანია, როგორც ეს წყვდიადი ღამე... შიგა და შიგ თავს ამოჰყოფს, ბურუსით მოცული განცდილი



**გრ. რობაქიძე** (ნ. ფიროსმანაშვილს) უნდა ისწავლო, ძმობილო!.. შენს ხანში მყოფს კიდევ ბევრის შექმნა შეუძლია... ორფიულის... ერთი ათი-ოცი წლის შემდეგ კარგი მხატვარი გამოხვალ... აი მაშინ გაგზავნით ახალგაზრდათა გამოფენაზე...

ხანა, აი, ისე როგორც ქალაქის შენობებზე წამოწეულან პატარა სვეტები და იმნაირადვე შავ ზოლებს ტოვებენ, მხოლოდ შავ ზოზოლებს... აგერ ერთ ადგილს, თითქო გაშუქდაო, მისუსტებული სინათლე გამოჩნდა და პატარა ხანს შემდეგ, ისიც კვლავ მიეფარა, შესწყდა მისი მსვლელობა...

ოო... რა დახუთული ჰაერია!... ფეხზე დგომითაც დავიღალე! მაგიდასთან მივჯექი გაბოროტებული, გაბრუებული!.. . შორიდან რაღაც გუგუნი მოისმის! რა ხმაურობაა?... ფანჯრის ფარდა ინძრევა, სიო მოხვდა გახურებულ ლოყას... ოთახი ცივი ჰაერით აივსო... თავისუფლად ვისუნთქე... შხრრრი... შხაპუნა წვიმა წამოვიდა... მიყუჩებულმა გულმა ფართხალი იწყო... ფანჯარაზე გადავეყუდე და თავი შევუშვირე ზაფხულის წვიმას...

შხრიალობენ წვიმის წვეთები სახლის სახურავზე... ხმაურობს იგი პატარა ნაკადი მიწაზე დაშვებული!.. ამეტყველდა ყველაფერი, ხმა ამოუშვა... უუჰ! რა გრიალია წვიმის ჰაერი!.. წვრ... წვრ... გაიძახიან წვიმის წვეთები... როგორ ხტუნავენ და ცელქობენ, ხის ფოთლები!.. უხარიანთ წვიმის პკურება... თითქო მუსიკალური სიმებით ცა და მიწა შეერთდაო, გაისმის ჰიმნი ქვეყნიერების დღესასწაულისა...

ჩემი მეზობელი კვლავ ოთახში იარებოდა, ამდენ ხანს უნდება ბარგის ჩალაგებას!.. მთელ ღამეს არ იძინებს, ალბად არც ეძეინება!.. მერე რატომ?.. წყნარ ცხოვრებას ატარებდა და აი, ახლა კი ეძინება! ბარგი მზად აქვს და წავა კიდეც! წავა თავის სამშობლოში!... მერე რა არის სამშობლო?.. ალბად ისეთი ძლიერი რამ, რომლის სიყვარულიც არ დაგაძინებს! აი, მთელი ღამე ფეხზეა იგი!... და მზად არის წასასვლელად!.. სერბიაში თავის სამშობლო სერბიაში... რომ დაიცვას მისი უფლებანი, თავისუფლად ეგულებოდეს იგი... ლამპა ჩააქრო, ალბად დაიქანცა უძილობით და მხოლოდ გათენებისას დაიძინებს იგი! მალე ისევ ადგება, რომ გზას გაუდგეს და მივიდეს სერბიაში, თავის სამშობლო სერბიაში...

შხაპუნა წვიმა შესწყდა... ცა მოწმენდილია, ღრუბლები გაქრნენ... ეს რაღაა? ქალაქში მბჟუტავი ლამპებიც ჩაქრენ... შავი ზოლები მიიმალენ... გარკვევით ჩნდებიან სახლის სახურავებზე ბუხრის თავები, მავთულების სვეტები, საყდრების გუმბათები... თეთრი ფრთა ნელნელა იშლება... თნდება... ცისკარია!..

### 1 აგვისტო.

ჯერ კიდევ გუშინ, ყოველ დღიური ცხოვრება იყო ქალაქში გამეფებული, და დღეს კი,- შეწყდა ჩვეულებრივი მაჯის ცემა!.. მოღუნებული და უხასიათო მოქალაქენი ქუჩებს მოჰფენოდნენ, გაკვირვებული სახით ერთმანეთ შესჩეროდნენ და არ სჯეროდათ თუ შესაძლებელია რასაც ისმენდნენ... ქუჩებზე გამალებით დარბოდნენ გაზეთების გამყიდველები, პატარა ფურცლებს გამვლელებს სთავაზობდენ გაჰკიოდნენ: ტელეგრამები, ტელეგრამები!.. გერმანიას და რუსეთს შორის ომის გამოცხადება!.. ომის გამოცხადება!.. იყიდეთ ახალი ტელეგრამები!.. და მირბოდენ... არეულობა ქოთქოთი, მითქმა-მოთქმა, გაკვირებული სახეები, აჩქარებული ნაბიჯით ყველა მიშურებოდა თითქო იქით, სხვა ადგილს, გაიგებდნენ კითხვის გადამწყვეტ პასუხსო, —ერთმანეთ მისდევდნენ, მიეშურებოდნენ... ქუჩის მოძრაობასაც სულ სხვა ელფერი ედო...

ჩემი არსება ხომ ახლაც თრთის გულის ფეთქაც არა ჩვეულობრივი მაქვს!.. დილას კი სულ სხვა იყო... დღეს დილას გულისა კვნესა -ტკივილმა გამომაღვიძა და თვალები გავახილე თუ არა, კედლის საათს შევხედე; თერთმეტი საათი იყო...

მერე რატომ ასე მწარედ კვნესოდა და გაჰკიოდა ჩემი გული? თითქო სადმე ჯურღმულში ჩავარდნილვიყავე და გასავალი არსაიდან სჩანდეს... გუშინდელი დღე, თითქო შავი ზეწრით გადაფარებული ყოფილიყვეს და შიგ შავ მაუდიანი კუბო მდგარიყო!.. მერე?.. დიდხანს ვიყავი კიდევ ლოგინში გამოურკვევლად, რომ მეზობლის ოთახიდან კვლავ ხმაურობა შემომესმა... აღელვებული, არაჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობდნენ...

. . . მზადა ხარ? ეკითხებოდა ერთი.

— მზად ვარ! მხოლოდ ფული უნდა გამოვცვალო!..

— აბა, მაშ ჩქარა! რაღას აყოვნებ!.. წაიკითხე ახალი ტელეგრამები?

— ჰო! ბელგრადს უკვე დაუშინეს!

— მაშ, ჩქარა უნდა წავიდეთ! ჩქარა უნდა მივიდეთ სახლში!..

უცბად ფეხზე წამოვხტი, ტანთ ჩავიცვი და გარედ გავედი. კიბეზე ჩემი მეზობელი შემხვდა თავისი ამხანაგებით. ბარგი ეჭირათ ხელში და მიდიოდნენ.

— მშვიდობით! მითხრეს მათ, გვისურვეთ გამარჯვება!..

დავიბენი, თვალები ღია დ მრჩა, პირი გაღებული; არ ვიცოდი რა მეთქვა...

— სამშობლოში მივდივართ! მისი ხმა გვეძახის! შეიძლება ბრძოლის ველზე დავიხოცოთ!.. მშვიდობით...

— მშვიდობით! გამარჯვებით! ყოჩაღად იყავით! ძლივს წავილუღლუღე და გამოვემშვიდობე...

მარჯვი ნაბიჯით მიდიოდნენ! მხნედ! თითქო დღესასწაულზე მიეშურებიანო!..

მე კი გაბრუებული, დაბნეული და უმწეო, ქუჩას მივდევდი... ქუჩის არაჩვეულებრივა ქოთქოთმა მეც გამომიყვანა მდგომარეობიდან. ტელეგრამები ვიყიდე, აღელვებულ ხალხში ჩავერიე, მათ მსვლელობას ავყევი... მეც არ ვიცი მერე როგორ მოვხვდი სადგურზე... „სამშობლოს ხმა გვეძახის! შეიძლება ბრძოლის ველზე დავიხოცოთ! მშვიდობით!.. განმეორდა ჩემს სმენაში სერბიელის სიტყვები...

სადგურის დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. აჩქარებული მისვლა-მოსვლა, ერთმანეთის დაჯახება, გაშტერებული თვალები... მხრებზე ბარგით დატვირთულნი ძლივს მიარღვევდნენ გზას ბაქანისკენ. ბაქანზე რომ გავედი, იქ ხომ განძრევაც არ შეიძლებოდა. ვაგონებისკენ მიმავალნი ძლივს იკაფავდნენ გზას... ისმოდა სერბიულ ენაზე გაძახილი. ვაგონების ფანჯრებიდან გადმოიყურებოდნენ ახალგაზდა სახეები. ხალხი მათ გასაცილებლად მოსულიყო... ჩემს მეზობელს ვეძებდი, მაგრამ თვალი ვერსად მოვკარი!.. მოსულ ხალხს, ზოგს ყვავილები ეჭირა ხელში, ზოგს პაპიროსები და ფანჯარაზე გადმოყუდებულთ სთავაზობდნენ... ამხნევებდნენ, გამარჯვებას უსურვებდნენ... სლუკუნი შემომესმა... კუთხეში ორიოდე ქალი მიმდგარიყო, ცხვირსახოცი თვალებთან მიეტანათ და სტიროდნენ... როცა ვაგონს შეხედავდნენ და ცხვირსახოცს მოიცილებდნენ, გაწითლებული, ცრემლიანი თვალები და ათრთოლებული ტუჩები გამოჩნდებოდნენ... აგერ ვაგონების კარებებიც დაკეტეს და საცაა მატარებელიც დაიძვრის... შეტბორებული ხალხი შეინძრა, ვაგონებს მიუახლოვდა, ფანჯრებისკენ ხელები გაიშვირა, ქუდი მოიხადა... მატარებელიც დაიძრა; ნელა წყნარად... თითქო საგანგებო სტუმრები მიყავდესო და რახუნით შეწუხება არ უნდოდესო... ხალხმა ქუდები მაღლა ასწია, ,,ურრრააა" დაიძახა; თვალები მიმავალთ გააყოლეს, ჰაერში თეთრი ცხვირსახოცები აფრიალეს, ,,vive la Serbie"... დიდ ხანს იძახეს, რამდენიმე ნაბიჯით მატარებელს გაჰყვნენ და მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ როცა მატარებელი თვალს მიეფარა... კიდევ დიდ ხანს იდგა აქოთქოთებული ხალხი; ვინ ცრემლებს იწმენდდა, ვინ ქუდს იხურავდა, ვინ თავის ნაცნობს ეძებდა და ნელა, მოკლე ნაბიჯით ერთმანეთს მჭიდროთ მიკრულნი, გასავალ კარებისკენ მიდიოდნენ...

გაშტერებული შევცქეროდი ყოველივე ამას, დაბნეული... მერე ყელში რაღაც მომაწვა, თითქო შეხუთვა სდომებოდეს... ტუჩები ამითრთოლა. თვალები დამივიწროვა, გააწითლა... გული ატოკდა, ზევით წამოვიდა და თვალთაგან ცრემლები წამომცვივდა... ღმერთო ჩემო, რა დამემართა? ვის ვტიროდი?.. რად ვტიროდი?,. რატომ ასეთ მარტოობას ვგრძნობდი?.. კედელს მივეყუდე... დიდ ხანს გამოურკვევლად ვიყავი... მერე თავში გამიელვა მეზობელ სერბიელის სიტყვებმა: „სამშობლოს ხმა გვეძახის!.. შეიძლება ბრძოლის ველზე დავიხოცოთ!.." ახლა ის მატარებელში ზის და სამშობლოს დასაცავად მიეშურება... და წარმომიდგა ახალგაზდა, აღფრთოვანებული სახეები...

დ. ლიხელი.

(დასასრული იქნება).

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..

ხ. ფაშალიშვილი.

თა იდირს, მხედრის მკვლელობას.